იაპონიის ელჩის ტოშიო კაიტანის გამოსამშვიდობებელი შეხვედრა პრემიერ-მინისტრთან

21 ივლისს, იაპონიის ელჩი ტოშიო კაიტანი გამოსამშვიდობებლად ეწვია საქართველოს პრემიერ-მინისტრს გიორგი კვირიკაშვილს. პრემიერ-მინისტრმა მადლობა გადაუხადა ელჩს მისი მოღვაწეობისთვის. შეხვედრაზე განხილული იქნა ორ ქვეყანას შორის შემდგომი ურთიერთობების განვითარების პერსპექტივები. მხარეებმა ასევე იმსჯელეს ბოლო პერიოდში ორი ქვეყნის მაღალი დონის ვიზიტების საკითხზე. იაპონიის ელჩმა ხაზი გაუსვა, რომ იაპონია მომავალშიც გააგრძელებს და გააძლიერებს მეგობრობას და თანამშრომლობას საქართველოსთან.

(ფოტო მოწოდებულია საქართველოს მთავრობის მიერ)

საქართველოს მთავრობა
http://gov.ge/index.php?lang_id=ENG&sec_id=463&info_id=62047